# საგადასახადო ა/ფაქტურის გასწორება 1133

## ფაქტობრივი გარემოებები

დღგ-ის გადამხდელი პირის მიერ გამოწერილ საფ-ში დაშვებულია შეცდომა, რომელიც არ უკავშირდება გადასახადის თანხას და შესაძლებელია მხარეთა იდენტიფიცირება

I ვარიანტი:
მყიდველისთვის საფ-ის გადაცემამდე პირმა ყველა ეგზემპლარში შეასწორა უზუსტობა და დაამოწმა ხელმოწერითა და ბეჭდით

II ვარიანტი:
პირმა შეცდომა აღმოაჩინა საფ-ის საგადასახადო ორგანოში წარდგენის შემდეგ და შეცდომის გასწორების მიზნით მეორე მხარის წარმომადგენელთან ერთად მიმართა საგადასახადო ორგანოს

III ვარიანტი
შეცდომა აღმოჩენილი იქნა საგადასახადო ორგანოს მიერ და შემდგომ მოხდა მისი გასწორება

## შეფასება

საფ-ში შეცდომის აღმოჩენისას გამყიდველს ყველა ეგზემპლარში უნდა გაესწორებინა შეცდომა და დაემოწმებინა იგი ხელმოწერითა და ბეჭდით (მისი არსებობის შემთხვევაში). შეცდომის გასწორება ასევე შესაძლებელია საფ-ის საგადასახადო ორგანოში წარდგენის შემდეგ. კერძოდ, შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში, გადამხდელებს შეუძლიათ ერთობლივად მიმართონ საგადასახადო ორგანოს საფ-ის ყველა ეგზეპლარში (მათ შორის საგადასახადო ორგანოში არსებულ საფ-ში) შეცდომის გასწორების მიზნით

## ღონისძიებები

პირველ და მეორე ვარიანტებში პირის ქმედებაში სამართალდარღვევა არ იკვეთება

მე-3 ვარიანტში პირს დაერიცხება ჯარიმა სსკ-ის 144-ე მუხლით

სამივე ვარიანტში აღნიშნული საფ-ის მიხედვით მყიდველის მიერ მიღებული ჩათვლა არ გაუქმდება